



## სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა

### სამართლის სამაგისტრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
<b>პროგრამის სახელწოდება</b>
სამართალი
<b>საფეხური</b>
მაგისტრატურა
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
სამართლის მაგისტრი
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>
ქეთევან ჯინჭარაძე
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას, მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
<b>პროგრამის მოცულობა</b>
სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.
სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
სამართლის სამაგისტრო პროგრამა იყოფა სამ კომპონენტად: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტი, რომელიც შეიძლება თავის მხრივ იყოს სასწავლო, პრაქტიკული ან/და კვლევითი.
სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.
<b>სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 75-90 კრედიტს</b> - აქედან, 26 სავალდებულოა, ხოლო შეთავაზებული არჩევითი სასწავლო მოდულებიდან (კერძო/ბიზნეს სამართალი, სისხლის სამართალი, საჯარო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, დარგთაშორისი კონცენტრაცია) მაგისტრანტი აუცილებლად აგროვებს ერთი კონკრეტული მოდულის

მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების კრედიტებს, ხოლო დარჩენილი კრედიტები შეიძლება დააგროვოს იგივე სასწავლო მოდულის არჩევითი საგნებიდან; სხვა სასწავლო მოდულის/კონცენტრაციის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან.

#### **პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 15 კრედიტს:**

- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლასთან არსებულ იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში;
- სახელმწიფო სექტორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის;
- იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლას.

პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სამართლის მიმართულებით და არ ახორციელებს იურისტის პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

პროგრამაში 15 კრედიტი არჩევითი კრედიტების ხარჯზე ეთმობა თავისუფალ კომპონენტს, რომლის დაგროვებაც სტუდენტს შეუძლია როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

#### **კვლევით კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 30 კრედიტს.**

კვლევითი კომპონენტთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის დებულებაში.

#### **სწავლების ენა**

ქართული (ინგლისური კომპონენტებით)

#### **პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის დანიშნულებაა სამართლის შესაბამისი დარგების უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, უმაღლესი აკადემიური და ეთიკურის სტანდარტების მქონე კადრებით, რომლებიც მზად იქნებიან ევროპული ინტეგრაციის თანმხლები სამართლებრივი ცვლილებებისათვის. ამიტომ იგი ორიენტირებულია, სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სფეროებში, აგრეთვე შედარებითი სამართალმცოდნეობის საკითხებში;
- გამოუმუშაოს ინოვაციური მიდგომები ნორმის სწორად ინტერპრეტაციის, რთული

სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასების და საბოლოოდ სამართლებრივი ამოცანის გადასაწყვეტად;

- გამოუმუშაოს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე საკუთარ კვლევის შედეგების და სამართლებრივი დასკვნების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი;
- განუვითაროს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების და სამართლებრივი წერის უნარი;
- გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი;
- მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშაოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის უნარი.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამა შეიცავს კურსებს, რომლებიც აუცილებელი პირობაა შესაბამისი ქვეყნების სამართლებრივი სისტემების შესასწავლად. (მაგ. სასწავლო კურსი - აშშ-სამართლებრივი სისტემები, რომელსაც ინგლისურ ენაზე უძღვება ნიუ-ორკის უნივერსიტეტის პროფესორი, აუცილებელი წინაპირობაა აშშ-ში სამართლის პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად).

#### **პროგრამაზე დაშვების წინა პირობა**

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.

პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

#### **სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა**

50

#### **დასაქმების სფერო**

სამართლის მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ძირითადი ადგილები და მისი თანამდებობრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში კვალიფიციური იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

## სწავლის შედეგები

### 1. აღწერს:

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
- თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებს და პრინციპებს;
- სამართლის ფილოსოფიურ ასპექტებს;
- ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, მათ კომპეტენციებს და დამახასიათებელ თავისებურებებს; ევროკავშირის სამართლის სისტემას და მის გავლენას ქართული კანონმდებლობის განვითარებაზე;
- პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;
- სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს;

**2. განსაზღვრავს** შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას;

**3. განმარტავს** სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

**4. აანალიზებს** მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

**5. ამყარებს** აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას მშობლიურ და უცხოურ ენაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად გამოხატავს და იცავს თავის კანონისმიერ არგუმენტებს იმ ფორმით, რომელიც მიზანშეწონილია სამიზნე აუდიტორიისთვის;

**6. განსაზღვრავს** სასამართლოში საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკას;

**7. ამოიცნობს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

**8. ავლენს** უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;

**9. მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება;

**10. პატივს სცემს** სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;

**11. აღიარებს და პატივს სცემს** აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად.

### სწავლება-სწავლის მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული მუშაობა  ელექტრონული რესურსით სწავლება  ელექტრონული სწავლება  სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;



- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება) და სხვა.

### შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

### პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

#### ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი \_ შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი \_ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი \_ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

#### ორი სახის უარყოფითი შეფასება

- (FX) ვერ ჩააბარა \_ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით

გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა \_ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

### პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

**დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა.**

**დანართი 2: CV - ქეთევან ჯინჭარაძე**

## სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

### 1. აღწერს:

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
  - თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებს და პრინციპებს;
  - სამართლის ფილოსოფიურ ასპექტებს;
  - ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, მათ კომპეტენციებს და დამახასიათებელ თავისებურებებს; ევროკავშირის სამართლის სისტემას და მის გავლენას ქართული კანონმდებლობის განვითარებაზე;
  - პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;
  - სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს;
2. განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას;

### სამიზნე ნიშნული:

[1] და [2] სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები;
- ევროპული კავშირის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსი და გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე;
- სამართლის ფილოსოფია;
- სპეციალობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებში;

ასევე სამაგისტრო ნაშრომი.

3. განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

### სამიზნე ნიშნული:

- სამართლებრივი ნორმის მოძიება და პროფესიულ დონეზე განმარტება;
- იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებების, არასტანდარტულ სამართლებრივი სიტუაციების, გამოკვეთა და შეფასება;
- რთულ პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ჩამოყალიბება;
- საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგების განსაზღვრა;

შეფასების მეთოდები: კაზუსის ამოხსნა, იმიტირებული სასამართლო პროცესი.



4. აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

სამიზნე ნიშნული:

- შესაბამისი ინფორმაციის (კანონმდებლობა, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა, საკანონმდებლო ნოვაციები, უახლესი მეცნიერული კვლევები და სხვა) მოძიება;
- ინფორმაციის სინთეზი;
- ინფორმაციის ანალიზი;
- პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემის იდენტიფიცირება;
- პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე ორიგინალური, არგუმენტირებული სამართლებრივ დასკვნების შემუშავება;

შეფასების მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომი.

5. ამყარებს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას მშობლიურ და უცხოურ ენაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად გამოხატავს და იცავს თავის კანონისმიერ არგუმენტებს იმ ფორმით, რომელიც მიზანშეწონილია სამიზნე აუდიტორიისთვის.

სამიზნე ნიშნული:

- სამიზნე აუდიტორიასთან წერილობითი ფორმით კომუნიკაცია;
- სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი ფორმით კომუნიკაცია;
- სამიზნე აუდიტორიის წინაშე შესაბამისი ფორმით კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტები თანმიმდევრულად, ნათლად ჩამოყალიბება;
- კადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა.

შეფასების მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომი.

6. განსაზღვრავს სასამართლოში საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკას;

სამიზნე ნიშნული:

- სასამართლოში საქმის დამუშავების ძირითადი სტანდარტების დახასიათება;
- საქმის ფაქტობრივი გარემოებების დალაგება;
- მხარეთა მტკიცების სფეროში შემავალი ფაქტების დადგენა;
- დასაშვები და მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების (განაჩენის) სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება.

შეფასების მეთოდი: საპროცესო დოკუმენტების პროექტები.

7. ამოიცნობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი

მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

**სამიზნე ნიშნული:**

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება;
- კვლევის დიზაინის შერჩევა;
- კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი;
- სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესის სწორად დაგეგმვა და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით განხორციელება.

**შეფასების მეთოდები:** სამაგისტრო ნაშრომი.

**8. ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.**

**სამიზნე ნიშნული:**

- ინფორმაციის მოძიება;
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;

**შეფასების მეთოდები:** სამაგისტრო ნაშრომი.

**9. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება.**

**სამიზნე ნიშნული:**

- პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში მონაწილეობა;
- სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების გამოყენება;
- კოლეგების დახმარება და მათთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება;
- საკუთარ, და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება;
- გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად პირობების შექმნა;
- მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება;

**შეფასების მეთოდები:** სამაგისტრო ნაშრომი, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებული პროცესი; პრაქტიკული კურსი (პრაქტიკა).

**10. პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;**

**სამიზნე ნიშნული:**

- სამოსამართლო ეთიკის სტანდარტების დაცვა;
- მოსამართლის ღირებულებებითი ასპექტების (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება) გათავისება;
- მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებებს/ინიციატივების/პრაქტიკის გაანალიზება და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირება;
- ბალანსის აუცილებლობის აღიარება თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;

**შეფასების მეთოდები:** იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული კურსი (პრაქტიკა).

**11. აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;**

**სამიზნე ნიშნული:**

- აკადემიური პატიოსნების წესების დაცვა და აღიარება;
- კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალის ან/და სამუშაო გარემოს სამართავად სახელმძღვანელო მითითებების მიღება;
- სამუშაო დროის დაგეგმვა;
- კვლევასთან მიმართებით სტრატეგიული მიდგომების შემუშავება.

**შეფასების მეთოდები:** სამაგისტრო ნაშრომი, იმიტირებული პროცესი; პრაქტიკული კურსი (პრაქტიკა);

**სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები**

		<b>კრიტერიუმები</b>					
		<b>A</b>	<b>B</b>	<b>C</b>	<b>D</b>	<b>E</b>	<b>F</b>
<b>სამიზნე ნიშნული</b>	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიშნოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მტკიცებულებების არქონის ჩვენება